

მიგრაციის ფემინიზაცია ქართულ რეალობაში

ნინო ღვინიაშვილი

*სამაგისტრონაშრომიწარდგენილიაილიასსახელმწიფოუნივერსიტეტისმეცნიერებათა და
ხელოვნების
ფაკულტეტზემაგისტრისაკადემიურიხარისხისმინიჭებისმოთხოვნებისშესაბამისად*

პროგრამა სოციოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ანა კირვალიძე, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი, 2015

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ რაქამდებულ ამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ნინო ღვინიაშვილი

09.02.2015

აბსტრაქტი

თანამედროვე ქვეყნების უმრავლესობა განიცდის მიგრაციული პროცესების გავლენას. გლობალიზაციის ერაში არ დარჩა ქვეყანა, რომელსაც არ შეხებია მიგრაციული პროცესები. მან მოიცვა ისეთი სფეროები როგორცაა: დემოგრაფია, პოლიტიკა, კულტურა, ენა და რელიგიაც კი. გაეროს 2013 წლის მონაცემების მიხედვით მიგრაციაში ფიქსირდება 232 მილიონამდე ადამიანი, საქართველოდან 189.9 ათასი მოქალაქე, რომელთა 52,5%-ს ქალები შეადგენენ.

მიგრაცია და მასთან დაკავშირებული მოვლენები დასაწყისიდანვე სოციოლოგების დაკვირვების საგანს წარმოადგენს. მიგრაციის ერთიანი თეორია არ არსებობს, თუმცა მეცნიერები გვთავაზობენ საერთაშორისო მიგრაციული თეორიის სინთეზს და აერთიანებენ ექვს ძირითად თეორიას. ესენია: მიგრაციის ნეოკლასიკური ეკონომიქის თეორია; შრომითი მიგრაციის ახალი ეკონომიკა; სემენტირებული შრომითი ბაზრის თეორია; მსოფლიოს სისტემური თეორია; სოციალური კაპიტალის თეორია; კუმულაციური მიზეზ-შედეგობრიობის თეორია. აღსანიშნავია, რომ თეორიის ექვსივე ასპექტი შრომითი მიგრაციის სხვადასხვა მხარეზე ამახვილებს ყურადღებას. ისინი როგორც მიკრო, ასევე მაკრო დონეზე განიხილავენ საერთაშორისო მიგრაციულ პროცესებს. მას წარმოაჩენენ, ერთის მხრივ, როგორც ინდივიდის გადაწყვეტილებას, მეორეს მხრივ, როგორც, ოჯახის მიერ განსაზღვრულ ქცევას, ასევე განიხილავენ მას როგორც საერთაშორისო შრომითი ბაზრის მოთხოვნების ლოგიკურ შედეგს ან ემიგრანტთა ქსელების მიერ წახალისებულ ქცევას.

ნაშრომის საკვლევ თემას წარმოადგენს ქართულ რეალობაში მიგრაციის ფემინიზაციის პროცესები. „რატომ მიგრირდება ოჯახიდან ქალი და არა მამაკაცი?“-კითხვა რომელიც დასმულია კვლევის ჰიპოთეზის ძირითად ნაწილში. ასევე ჰიპოთეზა დაისვა

შემდეგნაირად: მიგრაციის ფემინიზაციის მიზეზი არის ქალის უსაზღვრო სიყვარული შვილებისადმი და ქვეყანაში შექმნილი რთული ეკონომიკური ვითარება, აგრეთვე ის რომ მამაკაცები ნაკლებად იჩენენ სურვილს მიგრაციაში წასვლასთან დაკავშირებით ოჯახის ეკონომიური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

ჰიპოთეზის გადასამოწმებლად მოხდა 2015 წლამდე მიგრაციის თემის გარშემო საქართველოში ჩატარებული რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევების, ასევე დოკუმენტური ვიდეო მასალის ანალიზი. კვლევისას გამოიკვეთა მიგრაციის ფემინიზაციის განმსაზღვრელი რამდენიმე ძირითადი ფაქტორი. ეს ფაქტორებია: ქალთა შრომისადმი საზოგადოების დადებითი დამოკიდებულება; ქალთა შრომაზე არსებული მოთხოვნა საზღვარგარეთ; ქალებისათვის საზღვარგარეთ ყოფნისას მეტი დაცულობის განცდა; ქალების მხრიდან უდიდესი პასუხისმგებლობის განცდა შვილებისა და ოჯახის სხვა წევრების მიმართ. კვლევისას ასევე მოხდა ზემოთ აღნიშნული ფაქტორების გადამოწმება პოტენციური მიგრანტების კვლევების მაგალითზე.

კვლევის შედეგად მოხდა ჰიპოთეზის ნაწილობრივი ვერიფიკაცია. საქართველოში მზარდი მიგრაციის ფემინიზაციის მიზეზი არის ქალის უსაზღვრო სიყვარული შვილებისადმი და ქვეყანაში შექმნილი რთული ეკონომიკური ვითარება, მაგრამ ქალს უწევს ოჯახიდან მიგრირება არა იმიტომ, რომ კაცი თავს არიდებს მიგრაციაში წასვლას, არამედ იმიტომ რომ საზღვარგარეთ არსებულ შრომით ბაზარზე მოთხოვნა სწორედ ქალთა შრომით რესურსზეა.

ამგვარად, ქალი ერთვება ოჯახის მართვაში არანაკლებ კაცისა. ხდება როლების შენაცვლება. თუკი გადავხედავთ მზარდ სტატისტიკურ მონაცემებს შემდეგი წლების განმავლობაში მიგრაციის ფემინიზაციის პროცესების ზრდას უნდა მოველოდეთ. ამ პროცესის ხელისშემწყობი არის ასევე საზღვარგარეთ არსებული მიგრაციული ქსელები, რომლებიც სტიმულს აძლევს ქართველ ქალებს შვილებისათვის უკეთესი მომავლის უზრუნველყოფის გზაზე.

ძირითადი საძიებო სიტყვები: მიგრაცია, მიგრაციის ფემინიზაცია

Abstract

Most of the modern countries are influenced by the process of migration. In the era of globalization no country is left, which has not been touched by migration process. It has covered the spheres such as: demography, politics, culture, language and even religion. According to the data of 2013 year, published by UNstatistics department, up to 232 citizens of the world are involved in the migration process, at the same time 189.9 thousand people are migrated from Georgia, from which 52.5% are represented by women.

Migration and issues connected with it, has been subject for sociological researches from the beginning. There is no whole theory about migration, but scientists offer synthetic theoretical explanation which consists of six theories. These are: neoclassical economics, theory of new economics of labor migration, segmented labor market theory, world systems theory, social capital theory and the theory of cumulative causation. It is important, that all of above mentioned six theories pay attention to different aspects of labor migration. They look at migration processes on both micro and macro levels. Theories represent mentioned processes on one hand as decision of the individual, on the other hand as decision of the family/household, also as logical result of modern labor market demand, or the behavior encouraged by emigrant networks.

Research thesis is the processes connected with feminization of migration in the Georgian reality. "Why migrate woman and not man?" this is the question which is asked in main part of the hypothesis. Research hypothesis also was that main reason for feminization of migration is endless love of mothers to their children and mainly the difficult economic situation in Georgia. Men have less desire to migrate to improve financial situation of the family.

In order to check hypothesis, was arranged analysis of both qualitative and quantitative researches conducted around the topic of migration in Georgia, also documentary video material was used for final analysis. Research has revealed several important reasons for women migration. Those are: local communities' acceptance of female labor; demand for female labor abroad; security consideration for women who migrate abroad; responsibilities those women have for their children and other members of the family. Above mentioned factors have already been checked via the data sets received from the researches of potential migrants from Georgia.

As a result, hypothesis has partly been verificated. Migration Feminization process increase in Georgia is the result of endless love of women towards their children and mainly the result of difficult situation in Georgian economic system, but women have to migrate not because men avoid to do the same, but because there is big demand for women labor abroad.

At the end, women start to be included in the process of family administration not less than men. If we look back at increasing statistics, we should await increase in feminization of migration in future as well. Started process is also encouraged by networks of migrants, which stimulate Georgian women in the way of giving better future to their children.

Key Words: Migration, Feminization of Migration, Networks of Migrants.